განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა, ბაკალავრიატი

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

4 დეკემბერი 2020 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი

25 იანვარი 2021 წ.

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალმცოდნეობა (ქართულენოვანი)
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამართლის ბაკალავრი - Bachelor of Law (LLB)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0421 სამართალი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებულია 09.12.2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო მესხიშვილი, შპს აჭარა ჯგუფი“, იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი. საქართველოს უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი.

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ბერიშვილი ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, თსუ
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ელისაბედაშვილი კერძო სააღსრულებო ბიუროს უფროსი (დამფუძნებელი). ლიცენზირებული კერძო აღმასრულებელი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ხუროშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსტიტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

უსდ-ს სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას პირველადი აკრედიტაცია მიენიჭა 2011 წლის დეკემბერს. 2020 წლის 4 დეკემბერას გახორციელებულმა ვიზიტმა აჩვენა, რომ პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შეესაბამება პროგრამით გაწერილ მითითებებს.

პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს (სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75-ისა). სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. 1 (ECTS) კრედიტი = 25 სთ., რომელიც მოიცავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო კურსების სპრეციფიკას.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში, ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობასაც ახორციელებენ, რაც თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო შედეგებს იძლევა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული,

აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის - სტუდენტების რაოდენობასთან თანაფარდობა არის 1/3, რომელიც საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. აღსანიშნავია ისიც, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა მოქნილია და ზრუნავს პერსონალის კეთილდღეობაზე, კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა ანაზღაურებადია.

უნივერსიტეტში აქტიურად ფუნქციონირებს კარიერის დაგეგმვის სამსახური. შზსუ-ს სტუდენტთა დასაქმების/სტაჟირების გავლის ხელშეწყობის მიზნით დადებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ, როგორც უნივერსიტეტთაშორის, ასევე საუნივერსიტეტო კონფერენციებში.

ხორციელდება პროგრამის მუდმივი მონიტორინგი მისი მოქნილობისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციის მიზნით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს შავი ზღვის უნივერსიტეტში „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით, აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 04 დეკემბერს დისტანციურად Zoom ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით.

უსდ-ში აკრედიტაციასთან დაკავშირებული ვიზიტი გაგრძელდა 1 დღის განმავლობაში. ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციისა და უსდ-თან დაკავშირებული დოკუმენტების გაცნობისას გაირკვა, რომ პროგრამა დაკომპლექტებულია პროფესიონალი აკადემიური პერსონალით, ადმინისტრაცია აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში და ნემისმიერ საკამათო თუ პრობლემურ საკითხზე მყისიერად რეაგირებს, ამასთან, აგრძელებს დადებითი და ძლიერი მხარეებისთვის დამახასიათებელი პროცედურების განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს (ონლაინ რეჟიმში) ინფრასტრუქტურა, გაესაუბრნენ უსდ-ს რექტორს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის სამსახურს, აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგებს, ადმინისტრაციას, დეკანს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრებს მიაჩნიათ, რომ პროგრამა არის აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან შესაბამისი. გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა რჩევების სახით მოსაზრებები გამოთქვეს, რომელთა გათვალისწინება სასარგებლო იქნება უსდ-ს შემდგომი განვითარებისთვის.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველი იქნებოდა წარმოდგენილი მიზნების უფრო განვრცობა და კონკრეტულად ჩამოყალიბება;
  - სასურველია, პროგრამას დაემატოს, როგორც ძირითადი, ისე არჩევითი, ინგლისურენოვანი საგნები, რათა გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი;
  - სასურველია, გადაიხედოს „აკადემიური წერის“, „საქმიანი წერის“, „ხელშეკრულების შედგენის“ და „სამართლებრივი აკადემიური წერა და კვლევის“ შინაარსი, რათა თავიდან იქნას აცილებული საგნებს შორის თემატიკის გადაფარვა;
  - სასურველია, განხილულ იქნას საკითხი, თუ რამდენად წარმოადგენს აუცილებლობას პროგრამის არჩევით საგნებად უკვე არსებული, კაზუსის ამოხსნის მეთოდიკის კომპონენტების ცალკე საგნებად დატოვება;
  - ასევე, სასურველია, განხილულ იქნას საგნის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ სავალდებულოდან არჩევით საგნად ტრანსფორმირების და მის ნაცვლად, დარგისთვის სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საგნით ჩანაცვლების შესახებ;
  - სასურველია, სილაბუსები გაიმართოს ტექნიკურად;
  - სასურველია, სილაბუსებში გადაიხედოს ლიტერატურა და მოხდეს მათი განახლება (ეხება მხოლოდ რამდენიმე სილაბუსს);
  - სასურველია განხორციელდეს სტუდენტთა ჩართულობის წახალისება გაცვლით პროგრამებში, მონაწილეობის წახალისების მიზნით, სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა. (მაგალითად, ისეთ პროგრამებში, როგორიცაა Erasmus+-ის გაცვლითი პროგრამა);
  - სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად შეუწყოს ხელი სტუდენტთა ჩართულობას საერთაშორისო კონფერენციებში.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია სკოლის მისიასთან, სტრატეგიასა და მიზნებთან. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები კავშირშია პროგრამების სწავლის შედეგებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ შზსუ-ის მისია მიზნად ისახავს უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა - გამოყენებით კვლევებს, ინოვაციებს, ინტერნაციონალიზაციასა და უწყვეტ განათლებას. შზსუ ისწრაფვის ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, შეინარჩუნოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში. (იხ. „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიში“ დოკუმენტი, 15.09.2020წ. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (2018-2025)). უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა დამყარებულია განვლილი წლების განმავლობაში სხვადასხვა ინსტიტუტებთან, ორგანიზაციებთან, სააგენტოებთან თანამშრომლობის საფუძველზე მიღებულ გამოცდილებასა და მომავლის ხედვებზე, რომელიც აერთიანებს შესაძლებლობებს მთელი უწყვეტი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად. მთავარ მიზანს კი წარმოადგენს უმაღლესი განათლების მქონე მსოფლიო მოქალაქეების გაზრდა და განვითარება. უსდ-ს ხედვის თანახმად, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი გახდება საერთაშორისოდ აღიარებული უნივერსიტეტი ხარისხიანი განათლების, ეფექტური მენეჯმენტის, კვლევებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მხრივ, რაც თავის მხრივ ემსახურება სტუდენტებისა და პერსონალისათვის საჭირო გარემოს შექმნას იმ მიზნით, რომ მათ მოახდინონ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პატივისცემა და უწყვეტი სწავლების პრინციპის განხორციელება. შზსუ-ის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა ეყრდნობა პრინციპებს, რომელთა მიზანს წარმოადგენს სტუდენტს მისცეს საბაზისო ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის, მისი საყრდენი პრინციპების, ისტორიული განვითარების და კერძო, საჯარო,

სისხლის და საერთაშორისო სამართლის მიმართულებებში, მართლმსაჯულებისა და სამართალწარმოების ძირითად პრინციპებისა და თავისებურებების შესახებ, იმგავრად რომ მან საბაკალავრო პროგრამის გავლის შემდგომ შეძლოს რეალური პრობლემების გადასაწყვეტად მიღებული ცოდნის პრაქტიკაში ეფექტიანი გამოყენება თავისუფლების, სამართლიანობის, დემოკრატიული და სოციალური ღირებულებების, პროფესიული ეთიკის მოთხოვნათა შესაბამისად.

შზსუ-ის მიერ განსაზღვრულ მიზანს წარმოადგენს კონკურენტუნარიანი, უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებული სტუდენტთა აღზრდა, რომლებიც შეესაბამებიან და აკმაყოფილებენ თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. კერძოდ, პროგრამის ამოცანაა მოამზადოს პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი მაღალკონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობენ დარგის განვითარებას.

უნივერსიტეტის მიზანი საჯარო და ხელმოსაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (http://ibsu.edu.ge/ge/law-page/first-bachelor-s/.), ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომია უსდ-ს ძირითადი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა რელევანტური დოკუმენტი, მათ შორის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია, პროგრამის შეფასება, შრომის ბაზრის კვლევა, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, მემორანდუმები და ა.შ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ასევე ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ პროგრამის მიზანი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ითვალისწინებს პრაქტიკის თანამედროვე ტენდენციებს, საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი პროცესების გამოწვევებს, რაც უზრუნველყოფილ იქნა პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და მათი შეფასებების, მოთხოვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით (იხ. პროგრამის ხელმძღვანელის თანდართული ანგარიში - ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა შეფასების ანალიზი).
ასევე განხორციელდა სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლა პროგრამის დარგისა და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, რაც გათვალისწინებულ იქნა პროგრამის განახლების პროცესში.
პროგრამა ორიენტირებულია, რომ მისი კურსდამთავრებულები იყვნენ კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური პროფესიონალები სამართლის სფეროში; შეიტანონ წვლილი პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის, ასევე დარგის განვითარებაში.
რამდენადაც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულს შეუძლია აღწეროს ზოგადად სამართლის სისტემა, მისი არსი, სამართლებრივი სისტემების საბაზისო თავისებურებები, თანამედროვე საბაზისო პრინციპები, ინსტიტუტები, ქართული საკონსტიტუციო სამართლის ელემენტები, ნორმის გამოყენების მეთოდები; კერძო, საჯარო, საერთაშორისო სამართლის თავისებურებები; მართლმსაჯულების განხორციელებისა და სამართალწარმოების სისტემის ფუნქციონირების ელემენტები; თანამდროვე სახელმწიფოს არსი და დანიშნულება, სახელმწიფო მოწყობის თავისებურებანი. ამასთან, აღნიშნული კურსის გავლით იგი ეუფლება ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე. უნარების კუთხით, პროგრამა კურსდამთავრებულს გამოუმუშავებს

შესაძლებლობას იდენტიფიცირება გაუკეთოს სამართლებრივ პრობლემებს და მრავალმხრივ გაანალიზოს იგი, მოიძიოს და შეიმუშაოს ადეკვატური ნორმატიული საფუძვლები, საჭირო პროფესიული თუ სხვა ინფორმაცია, განმარტოს ნორმა. განსაზღვროს მოქმედების ტაქტიკა, დასახოს სტრატეგია, რაც წარმოადგენს მართლმსაჯულებისა და ზოგადად სამართალწარმოების პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის წინაპირობას. აკადემიური სტანდარტების დაცვით შეადგინოს იურიდიული დოკუმენტაცია, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე, დაამყაროს კომუნიკაცია პროფესიულ წრეებთან თუ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ჩაერთოს დისკუსიებში და წარმოადგინოს არგუმენტირებული პოზიცია. განახორციელოს კონსულტაციები წამოჭრილ პრობლემასთან დაკავშირებით, მათ შორის ინგლისურ ენაზე. ეფექტიანად გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. პასუხისმგებლობისა და ავტონომიის მხრივ, კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს გაიღრმაოს მიღებული პროფესიული ცოდნა საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეებისათვის თვალყურის მიდევნების გზით. ამასთან, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებით ისწრაფვის თანასწორობის, სამართლიანობის, კანონიერებისა და დემოკრატიულობის თუ სოციალური ღირებულებების დამკვიდრებისკენ.

როგორც უნივერსირტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტშია (ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა(2018-2025)) მითითებული, შზსუ ცდილობს განავითაროს განათლების ხარისხი, რათა შესთავაზოს საუკეთესო შესაძლებლობები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სტუდენტებს. მისი მიზანია, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა შეძლონ მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ცხოვრება და მუშაობა.
პროგრამის მიზნები თანხვედრილია უსდ-ს მისიასთან და სტრატეგიასთან. პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ პროგრამის უმეტესი საგანმანათლებლო კურსის შინაარსი აგებულია იმდაგვარად, რომ სტუდენტს გაუღვივოს შემდგომი სწავლისა და კვლევის ინტერესი და მისცეს საშუალება მომავალში მოახდინოს ზეგავლენა ადგილობრივი სამართლის დახვეწის პროცესზე, რამდენადაც პროგრამის მიზანი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ითვალისწინებს პრაქტიკის თანამედროვე ტენდენციებს, საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი პროცესების გამოწვევებს, რაც უზრუნველყოფილა პროგრამის განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და მათი შეფასებების, მოთხოვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.
ხორციელდება პროგრამის მუდმივი მონიტორინგი მისი მოქნილობისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციის მიზნით. პროგრამის გაუმჯობესებისთვის ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები, რომელიც ითვალისწინებს შედეგების შეფასების ლოგიკურ სქემას, რომელიც საშუალებას იძლევა გაიზომოს ყველა შედეგი როგორც მთლიანობაში, ისე პროგრამის განხორციელებისას თითოეულ კომპონენტზე პერიოდულად.
უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში პროგრამის მიზნები ზოგადად არის განსაზღვრული. ინტერვიუების შედეგად გაირკვა რომ უსდ-ს წარმომადგენლებმა შესაბამისი ტრეინინგების გავლისას გაითვალისწინეს მითითება მიზნების „მოკლედ/ლაკონურად“ ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, თუმცა ასევე აღინიშნა, რომ “მოკლედ/ლაკონურად“ ჩამოყალიბებული მიზნები დეტალურად ჩაშლილია სწავლის

შედეგებში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სასურველი იქნებოდა წარმოდგენილი მიზნების უფრო განვრცობა და კონკრეტულად ჩამოყალიბება თვალსაჩინოებისათვის, აღქმადობის გამარტივების თვალსაზრისით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები; ○ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა; ○ კურიკულუმი; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ○ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია; ○ პროგრამის ხელმძღვანელის თანდართული ანგარიში - ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა შეფასების ანალიზი; დასაქმების სტატისტიკა. ○ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (2018-2025); ○ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ○ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველი იქნებოდა წარმოდგენილი მიზნების უფრო განვრცობა და კონკრეტულად ჩამოყალიბება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამა განვითარების ყველა ეტაპზე მუდმივად განიცდიდა ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხასიათის მოდიფიცირებებს პროგრამის დახვეწისა და დასახული მიზნების მიღწევის თვალსაზრისით. პროგრამის გაუმჯობესების პროცესში მუდმივად იყვნენ ჩართულნი აკადემიური წრის წარმომადგენლები, უცხოელი პრაქტიკოსები და ყველა ის დაინტერესებული პირი, რომელთაც სხვადასხვა სიბრტყეში შეხება ჰქონდათ სასწავლო თუ კვლევით პროცესთან. სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება გამჭირვალე კრიტერიუმებს. შეფასების სისტემა საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კომპონენტის სილაბუსში არის ასახული. აკრედიტაციის ვიზიტმა დაადასტურა პროგრამის პერსონალის (განსაკუთრებით აკადემიური პერსონალის) ჩართულობა პროგრამის ფორმირების, კორექტირების, თუ რევიზიის სტადიებზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ადაპტირებულია დარგობრივ სტანდარტის მოთხოვნებთან. შედეგები ფორმირებულია სამ ჯგუფად, რომლებიც თავის მხრივ ჩაშლილია ქვეშედეგებში და გააჩნია საკმარისად დეტალიზებული ფორმა.

ცოდნა და გაცნობიერების შედეგი თავის მხრივ მოიცავს ორ ქვეშედეგს: პირველი - ორიენტირებულია სამართლებრივი მეთოდების, ზოგადი ისტორიული კონტექსტის, კერძო, საჯარო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის მიმართულებებით, ეროვნული

სტანდარტით გათვალისწინებული მინიმალური და ცალკეული დამატებითი კომპეტენციების განვითარებაზე; მეორე - დემონსტრირებას უკეთებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე/საერთო ევროპული ჩარჩო-სტანდარტი/შესაბამისი სიძლიერით ოთხივე ენობრივ კომპონენტში, ასევე მისი პრაქტიკაში გამოყენება.

უნარის შედეგი ჩაშლილია ოთხ ქვეშედეგად, რომელიც ორიენტირებულია პროფესიული და აუცილებელი ზოგადი უნარების ფორმირებაზე სამართლის ოთხივე მიმართულებით, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს მიღებული ცოდნის რეალურ სივრცეში ეფექტიანი გამოყენებისთვის. პასუხისმგებლობის და ავტონომიის შედეგი ჩაშლილია ორ ქვეშედეგად, რომელიც სამართლებრივი ღირებულებითი სისტემის შემეცნების, თვითგანვითარებისა და ამის საფუძველზე მოდელირებულ გარემოში ავტონომიურად მოქმედების ათვისებისკენაა მიმართული.

უსდ-ს შემუშავებული აქვს სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელშიც პროგრამის შედეგების შესაფასებლად შემუშავებულია სწავლის შედეგებზე დაკვირვების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- სწავლის პროცესზე დაკვირვებას და სუსტი მხარეების გამოვლენას;
- თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისათვის სათანადო მეთოდის შერჩევას;
- სწავლის შედეგის მიღწევის დასადგენად სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას.

სწავლის შედეგების შეფასება: შეფასება არის უწყვეტი პროცესი, რომელიც თავის თავში აერთიანებს: სწავლის შედეგების შეფასების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების და რეაგირების ფაზებს (PDCA -სისტემა). აღნიშნული აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში და ხორციელდება ერთიან საუნივერსიტეტო დონეზე, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ უსდ ხელმძღვანელობს სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციის მიხედვით, სადაც ჩართულნი არიან ყველა დაინტერესებული მხარე. ყოველსემესტრულად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროცესის ანალიზს წარმართვას SIS და SMART მონიტორინგის ბაზებში ასახული შედეგების მიხედვით. მონიტორინგის მიზნებისთვის ატარებს გამოკითხვებს, რის საფუძველზეც ფასდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები, ასევე, სასწავლო პროგრამაში ჩართული ლექტორების აკადემიური მოღვაწეობა. 29 მარტის 2019 წლის სამართალმცოდნეობის ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების აკადემიური მოსწრების კვლევის დოკუმენტით, „შეფასების გადანაწილებისას გამოიკვეთა უსდს „ხარისხის

უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ რეგულაციის 36 (IBSU.R36) მუხლით განსაზღვრული ყურადსაღები შემთხვევა ორ საგანში:

„1. „ქართული სამართლის ისტორია“, სადაც 19 სტუდენტიდან 11 სტუდენტს (57.9%) ჰქონდა “F” შეფასება.

2. „სამშენებლო სამართალი“, სადაც 19 სტუდენტიდან 13 სტუდენტს (68,4%) ჰქონდა “A” შეფასება“.

მოცემული ინფორმაცია გადაცემულია ფაკულტეტის დეკანისთვის და პროგრამის კოორდინატორისთვის შემდეგი რეაგირებისთვის. აღნიშნული ინფორმაცია დაფიქსირებულია და დასტურდება აკადემიური მოსწრების 2018-2019 წლის სტატისტიკის დოკუმენტით (მე-17 დანართი).

მოწვეული ლექტორის წლიური შეფასება ხდება შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით: 1) შეფასების კომპონენტების შეყვანა SIS ბაზაში; 2) ქულების შეყვანა SIS ბაზაში; 3) სილაბუსის ატვირთვა SMART ბაზაში; 4) მასალების ატვირთვა SMART ბაზაში; 5)სტუდენტების გამოკითხვა. ხოლო აკადემიური სტატუსის მქონე პერსონალის შეფასებისას აღნიშნულ კომპონენტებს ემატება მათ მიერ წარმოსადგენი 6) აკადემიური-სამეცნიერო მოღვაწეობის წლიური ანგარიშის ფორმა.

2019-2020 აკადემიური წლის საგაზაფხულო სემესტრში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე სის და სმარტ ბაზების მონიტორინგისას დაფიქსირდა, რომ 30 სასწავლო კურსიდან:

· 7-მა ლექტორმა დაგვიანებით შეიყვანა სის ბაზაში კომპონენტები.

· 8 ლექტორმა დაგვიანებით შეიყვანა სის ბაზაში ქულები.

· 5-მა ლექტორმა დაგვიანებით ატვირთა სმარტ ბაზაში სილაბუსი.

·11-მა ლექტორმა დაგვიანებით ატვირთა სმარტ ბაზაში სასწავლო მასალები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტის დეკანს და პროგრამის კოორდინატორებს გააცნო შედეგები. (საგანმანათლებლ პროცესის მონიტორინგი, სის და სმარტ ბაზები, 2020 წლის 30 ივნისი). სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი გეგმავს ინდივიდუალურ შეხვედრებს (და ასევე ახდენს შეფასების ანალიზის ელ. ფოსტით

გადაგზავნას) ლექტორებთან, რომლებთაც აქვთ დაბალი შეფასება, რათა მოხდეს პრობლემების გაანალიზება და გონივრული გადაწყვეტილების გზების დადგენა. (2018-2019 სასწავლო წელი რეპორტები). ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაამუშავა და გააანალიზა 2019-2020 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში ჩატარებული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები: სასწავლო პროგრამების შეფასება. (სამართალმცოდნეობის ქართულენოვანი საბაკალავრო სასწავლო პროგრამა, სტუდენტების გამოკითხვის შედეგები: სასწავლო პროგრამის შეფასება, 2020 წლის 13 ივლისი).

ინტერვიუებიდან ასევე გამოირკვა, რომ მონიტორინგის და გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით კოორდინატორებისა და დეკანის მიერ ხორციელდება კომუნიკაცია შესაბამისი რეაგირებისათვის. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები: პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირადპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი მეთოდით შეფასებისას ხორციელდება დაკვირვება პროგრამის კომპონენტების სტუდენტების მიერ ათვისების მაჩვენებლებზე სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებზე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით, რაც გამოიხატება 80% მაჩვენებლში სწავლის შედეგების სამივე მახასიათებელში. (სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სწავლის შედეგების რუკა, დანართი 2).

ასევე მოქმედებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგთა მონიტორინგის საერთო საუნივერსიტეტო სტანდარტი (იხ. „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების (სახელმძღვანელო დოკუმენტის)“ მუხლი 6).
პროგრამის შედეგზე დაკვირვება ხდება ოთხი წლის განმავლობაში. მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამაში მითითებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი.
კურსი ან საერთო შედეგების მქონე კურსების ერთობლიობა აღწევს პროგრამის სწავლის შედეგს, თუ ჯგუფის 80 %-მა გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და აიღო კრედიტი. პროგრამის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ იგი ცდება წინასწარ განსაზღვრულ ზემოაღნიშნულ ნიშნულს. დაკვირვების შედეგად მიღებული შედეგების მიხედვით პრობლემაზე რეაგირება შესაძლოა განსხვავებული მეთოდებით, რომელიც აღწერილია სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში. სწავლის შედეგები ფასდება პროცედურით, რომელიც ეფუძნება გამჭირვალე კრიტერიუმებს. კონკრეტული სასწავლო კომპონენტის დაძლევისათვის

გამოსაყენებელი შეფასების სისტემა აღწერილია სილაბუსში. აკრედიტაციის ვიზიტმა დაადასტურა პროგრამის პერსონალის (განსაკუთრებით აკადემიური პერსონალის) ჩართულობა პროგრამის ფორმირების, კორექტირების, თუ რევიზიის სტადიებზე. აღნიშნული ასევე დასტურდება სტუდენტებთან ინტერვიუებისას, სადაც სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ჰქონდა მსგავს შემთხვევას ადგილი, კერძოდ სტუდენტებმა ადმინისტრაციასთან დააფიქსირეს თავიანთი მოსაზრება/პრეტენზია ერთ-ერთ ლექტორთან მიმართებაში. არსებულზე მყისიერად განხორციელდა რეაგირება, რაც გამოიხატა ადმინისტრაციის მიერ ლექტორთან კომუნიკაციაში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით. ასვე, ლექტორებთან ინტერვიუსებისას, რამოდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ პირადად მათ მიმართ მსგავს ფაქტს არ ჰქონდა ადგილი, თუმცა იცოდნენ ასეთი შემთხვევის არსებობის შესახებ.შედეგთა მიღწევადობა კონტროლდება კურსის დასრულების შემდეგ. თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში გაწერილი სისტემით შეფასება სრულფასოვნად ჯერ არ განხორციელებულა, მოქმედებდა მხოლოდ მისი ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ინდივიდუალური კომპონენტების ყოველსემესტრულ შეფასებას და ქულათა გადანაწილების დინამიკაში დაკვირვებას შზსუ-ში მოქმედი ხარისხის შეფასების ზოგადი მექანიზმების ფარგლებში, რამდენადაც აღნიშნული სეგმენტები ახალ სისტემაში მოდიფიცირებულია პროგრამის თავისებურებებიდან გამომდინარე და ხარისხის შეფასების მექანიზმის მხოლოდ ცალკეული ნაწილია. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგები, სწავლის შედეგები დაფუძნებულია პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებაზე და პროგრამის მიზნები და შედეგები თანხვედრაშია შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ორგანიზებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის გავლის შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები; ○ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა;

- სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- ხარისხის უზუნველყოფის შიდა მექანიზმები (სახელმძღვანელო დოკუმენტი);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ბაზრის კვლევა.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში** (*დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 23/08/2016წ. - გადაწყვეტილება №6 (დანართი №5)* **და ასევე ასახულია პროგრამაში** • სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად დადგენილია ისტორიის ან მათემატიკის გამოცდის ჩაბარება. • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან მობილობის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე. • სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა მობილობის ან გარე მობილობის წესით ჩარიცხვა, კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ○ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გამჭვირვალეა, მათ შესახებ საჭირო ინფორმაცია და ასევე საკონტაქტო პირთა მონაცემები ხელმისაწვდომია

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (https://ibsu.edu.ge/ge/law-page/first-bachelor-s/).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო პროცესის მარეგულერებელი წესი; • სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა; • ინტერვიუს შედეგები; ○ ვებგვერდი (https://ibsu.edu.ge/ge/law-page/first-bachelor-s/).
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია **საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქციის შესაბამისად** (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 15/05/2019წ. - ოქმი №7 (დანართი №2)). **აღნიშნული ინსტრუქციის შესაბამისად (თავი V მუხლი 16.8)- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცებისათვის საჭიროა შემდეგი პროცედურული ეტაპების გავლა:** **პირველი ეტაპი** - ახალი პროგრამის შექმნის მიზნობრიობის განხილვა. ინიციატორი ახალი პროგრამის შემუშავების შესახებ წინადადებას პროგრამის აქტუალობის კუთხით განიხილავს ფაკულტეტის საბჭოზე, (სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში დამატებით სამაგისტრო და სადოქტორო ინსტიტუტის საბჭოზეც), ხოლო ხარჯების ეფექტურობის კუთხით - მმართველ საბჭოზე. ინიციატორის წინადადების მოწონების შემთხვევაში, პროგრამის შემუშავების პროცესი გადადის მეორე ეტაპზე. **მეორე ეტაპი** - საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება. ანალიზის, დაგეგმვისა და შემუშავების ფაზის გავლის შემდეგ, პროგრამა განსახილველად გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებსა და შესაბამის დარგობრივ მახასიათებელთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი შეფასების შემთხვევაში პროგრამა განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე. ფაკულტეტის საბჭოს მიერ პროგრამის პროექტის მოწონების შემთხვევაში, მისი დამტკიცდება ხდება აკადემიურ საბჭოზე. ასევე, პროგრამის შემუშავების ფაზაში ხდება კურიკულუმისა და საგანმანათლებლო კომპონენტების სილაბუსების შემუშავება, შესაბამისი შეფასების მექანიზმების შერჩევა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავება, პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა (მუხლი 16.6). საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა,

შემუშავება, განხორციელება და განვითარება მოიცავს შემდეგ ფაზებს: ანალიზი და დაგეგმვა, შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება. (მუხლი 16.2)

პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ასოცირებული ან სრული პროფესორი, პასუხისმგებელია პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განხორციელებაზე და როგორც მოქმედ კანონმდებლობასთან ისე, საუნივერსიტეტო რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანაზე. ასევე, ხელმძღვანელი უზრუნველჰყოფს პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყოს ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) (მუხლი 16.1.). ვიზიტზე ინტერვიუების დროს განხილულ იქნა მათი ჩართულობა და სამუშაოს შესრულების ეტაპები.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა:

პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს (სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75-ისა), რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად:

- **185 კრედიტი** - **სავალდებულო კომპონენტი, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად:**
- **180 კრედიტი** - სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (მათ შორის: 10 კრედიტი - პროფესიული პრაქტიკა);
- **5 კრედიტი - ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსი -** ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- **35 კრედიტი - სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები შემდეგი მოდულებიდან**: სამართლის ისტორიისა და საფუძვლების მოდული (38 კრედიტი), სისხლის სამართლის მოდული (29 კრედიტი), კერძო სამართლის მოდული (38 კრედიტი); საჯარო სამართლის მოდული (47 კრედიტი), საერთაშორისო სამართლის მოდული (12 კრედიტი);
- **20 კრედიტი** - თავისუფალი კრედიტები (სტუდენტი უფლებამოსილია, აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები შზსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან).

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. 1 (ECTS) კრედიტი = 25 სთ., რომელიც მოიცავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, რაც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამაში განსაზღვრულია მიზნებიც, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ზედმეტად ზოგადი ხასიათისაა.

აღსანიშნავია, რომ პროგრამით გათვალისწინებულია აკადემიური წერისა და საქმიანი წერის კურსები, რაც საშუალებას მისცემთ სტუდენტებს შეისწავლონ სამეცნიერო კვლევის მეთოდები და სამართლებრივ დოკუმენტებთან მუშაობა, ხოლო არჩევით კომპონენტებად წარმოდგენილია ხელშეკრულების შედგენა და აკადემიური სამართლებრივი წერა და კვლევა, რომლებიც, როგორც ინტერვიუების დროს აღინიშნა, განკუთვნილია ზემოაღნიშნული სავალდებულო კურსების გაღრმავებისთვის. მიუხედავად ამ არგუმენტისა, ჩნდება გონივრული ვარაუდი, რომ საგნებს შორის თემატიკის გადაფარვას აქვს ადგილი.

პროგრამა მოიცავს სავალდებულო კურსს „ინფორმაციული ტექნოლოგიები", რომელიც პირველივე სასწავლო სემესტრშია გათვალისწინებული და საოფისე პროგრამების შესწავლას სთავაზობს სტუდენტებს. სამსჯელოა, აღნიშნული საგნის სავალდებულო ხასიათი სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამისთვის, რამდენად რელევანტურია, იმის გათვალისწინებით, რომ არჩევით კურსებში გადატანილია იურისტთათვის ისეთი მნიშვნელოვანი საგანი, როგორიცაა მაგალითად „მუნიციპალური სამართალი".

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის პროგრამასა და სილაბუსებში, ისევე როგორც ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების ანალიზიდან, არ გამოიკვეთა ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის მაღალი ხარისხი, რაც თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. ზემოაღნიშნული გამომდინარეობს შემდეგიდან, პროგრამაში ერთადერთ ინგლისურენოვან საგნად საქმიანი წერაა წარმოდგენილი, ხოლო არჩევით საგნებში მხოლოდ მედიაცია, ისიც არარეგულარული ფორმით. ცხადია, პროგრამა მოიცავს დარგობრივი ინგლისური ენის კურსებს (სამართალი B1, B1+ და B2) და პროგრამის წარმომადგენლების განმარტებით, სტუდენტებს ხშირად სთავაზობენ ინგლისურენოვან საგნებს, საჯარო ლექციებს, ტრენინგებს თუ მასტერკლასებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის პროგრამის შემადგელი ნაწილი.

ყურადღების ღირსია ასევე ის საკითხი, რომ არჩევით საგნებად შემოთავაზებულია კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში და კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა კერძო სამართალში. დოკუმენტაციის გაცნობისას და ასევე ინტერვიუს შედეგად, ვერ დადასტურდა იმის საჭიროება, რომ ეს კომპონენტები ცალკე საგნებად იყოს გამოტანილი, რადგანაც კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა ძირითად საგნებში ისედაც შეთავაზებულია. შესაბამისად, გადასახედია ზემოაღნიშნული არჩევითი საგნების პროგრამაში დატოვების

საკითხი. ეროვნული სამართლის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, სტუდენტს მოეთხოვება, სამართლის ყველა მიმართულებით გაიაროს სავალდებულო სასწავლო კომპონენტი. ამავდროულად, სტუდენტს შეუძლია არჩევითი სასწავლო დისციპლინებიდან საკუთარი სურვილისამებრ დაგეგმოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაბამისი მიმართულებით. პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში მეშვიდე და მერვე სემესტრში გათვალისწინებულია იურიდიული პრაქტიკა შზსუ-ს სამართლის კლინიკაში ან შესაბამის ორგანიზაციებში, რომლებთანაც გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი. მერვე სემესტრში სტუდენტი ამზადებს საბაკალავრო ნაშრომს, ამ კომპონენტის არჩევის შემთხვევაში. პროგრამით გათვალისწინებული საჭირო რაოდენობის კრედიტების დაგროვების შემდეგ, სტუდენტს მიენიჭება სამართლის ბაკალავრის ხარისხი. აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. პროგრამის მოცულობა შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოში საბაკალავრო სწავლების საფეხურისთვის წარმოდგენილ აღწერას. ასევე, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ უნივერსიტეტის მისია https://ibsu.edu.ge/ge/mission-vision/ ○ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა 2018-2025 ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, პროგრამას დაემატოს, როგორც ძირითადი, ისე არჩევითი, ინგლისურენოვანი საგნები, რათა გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი

- სასურველია, გადაიხედოს „აკადემიური წერის“, „საქმიანი წერის“, „ხელშეკრულების შედგენის“ და „სამართლებრივი აკადემიური წერა და კვლევის“ შინაარსი, რათა თავიდან იქნას აცილებული საგნებს შორის თემატიკის გადაფარვა
- სასურველია, განხილულ იქნას საკითხი, თუ რამდენად წარმოადგენს აუცილებლობას პროგრამის არჩევით საგნებად უკვე არსებული, კაზუსის ამოხსნის მეთოდიკის კომპონენტების ცალკე საგნებად დატოვება
- ასევე, სასურველია, განხილულ იქნას საგნის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ სავალდებულოდან არჩევით საგნად ტრანსფორმირების და მის ნაცვლად, დარგისთვის სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საგანით ჩანაცვლების შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას თან ახლავს ყველა საგნის სილაბუსი, სადაც სავალდებულო ინფორმაციის სახით განსაზღვრულია კურსის დასახელება, კრედიტის რაოდენობა, კრედიტების შესაბამისი საათების გადანაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, კურსის წინაპირობა, კურსის მიზნები და შედეგები, სწავლა-სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად, სილაბუსები წარმოდგენილი იყო გამართული ფორმით, თუმცა, რიგ შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზსს, როგორიცაა მაგალითად, სილაბუსში მეთოდების არ არსებობა, კრედიტების ან წინაპირობების არასწორად მითითება. ხაზი უნდა გაესვას, რომ აღნიშნული სულ რამდენიმე სილაბუსს ეხება, შესაბამისად, ერთიანობაში სილაბუსებთან დაკავშირებული მკვეთრი ხარვეზი არ გამოიკვეთა.

ყოველი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. ასევე, სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები ადეკვატურადაა გადანაწილებული კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი მოიცავს: ლექციას, ჯგუფურ მუშაობას/პრაქიკულ სამუშაოს, საკონტაქტო საათს, დამოუკიდებელ მუშაობას, შუალედურ და დასკვნით გამოცდას.

როგორც უკვე აღინიშნა, სილაბუსებში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (ნაციონალური თუ საერთაშორისო ნორმატიული აქტები, სტატიები, სასამართლო გადაწყვეტილებები და სხვ.), ეს ყოველივე ეხმიანება მიმართულების/დარგის აქტუალურ ტენდენციებს, მოიცავს უახლეს კვლევებს და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რიგ შემთხვევებში, სილაბუსებში არაა განახლებული ლიტერატურა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, მწირი ლიტერატურაა მითითებული და დამატებით, ლექტორის მიერ მომზადებული სხვა მასალა. ვიზიტის დროს, ამ საკითხის კომენტირებისას, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შესაძლოა გარკვეულ შემთხვევებში არ იყოს დაკონკრეტებული ეს „სხვა მასალა“, თუმცა უსდ-ს ელექტრონული ბაზის საშუალებით დემონსტრირება მოახდინა ე.წ. „რიდერების“, რაც სტუდენტებს ელექტრონულად ეგზავნებათ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართალმცოდნეობის პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - სასურველია, სილაბუსები გაიმართოს ტექნიკურად; - სასურველია, სილაბუსებში გადაიხედოს ლიტერატურა და მოხდეს მათი განახლება (ეხება მხოლოდ რამდენიმე სილაბუსს)
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისას და ვიზიტის დროს ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა პროგრამის პოზიტიური ნიშნები, კერძოდ, პროგრამის მხრიდან პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავების უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება არაერთ პრაქტიკულ კურსში, როგორიცაა მაგალითად, იურიდიული კლინიკა, საპროცესო უნარ-ჩვევები, რეპეტიტორიუმები, პრაქტიკული სამართლის კურსი, დებატებისა და საჯარო გამოსვლების ტექნიკა იურისტებისთვის. ასევე, უსდ-ს ხელშეწყობით, სტუდენტები მონაწილეობენ სხვადასხვა იმიტირებულ სასამართლო პროცესში, თუ საერთაშორისო ღონისძიებაში. აკადემიური წერისა და საქმიანი წერის კურსები კი, სტუდენტს უვითარებს აკადემიური კვლევის განხორციელებისა და სამეცნიერო/კვლევითი ნაშრომის მომზადების უნარს. ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი მსოფლიოში წამყვანი საერთაშორისო სამართლებრივი ინგლისური ენის გამოცდის - TOLES Legal საგამოცდო ცენტრს წამოადგენს საქართველოში. TOLES Legal სერტიფიკატი აღიარებულია ბიზნეს სამართლის დარგში მსოფლიოს მოწინავე იურიდიული კომპანიების მიერ. სასწავლო კურსის "დარგობრივი ინგლისური ენა - სამართალი (B2+)" მიზანია, მოამზადოს სტუდენტები ამ გამოცდისთვის. როგორც უკვე აღინიშნა, პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში მეშვიდე და მერვე სემესტრში გათვალისწინებულია იურიდიული პრაქტიკა, რასაც სტუდენტები გაივლიან იურიდიულ კლინიკაში ან იმ ორგანიზაციებში, სადაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი. კლინიკის ხელმძღვანელთან, ასევე, პრაქტიკის მიმცემ სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, თუ როგორ მიმდინარეობს პრაქტიკული სწავლების პროცესი, რომ პრაქტიკული კურსი ეფუძნება თეორიულ და პრაქტიკულ აქტივობებს, რაც ხელს უწყობს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის ფაკულტეტზე ტარდება სტუდენტური კონფერენცია,

რომელშიც მონაწილეობის მიღების საშუალება აქვთ, როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს .https://ibsu.edu.ge/ge/law/actual-issues-of-commercial-law/ https://ibsu.edu.ge/ge/law/students-scientific-conference/ ამასთანავე, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მათი სამეცნიერო ნაშრომი, გამოაქვეყნონ უსდ-ს ორენოვან ჟურნალში: https://law.ibsu.edu.ge/api/uploads/Contemporary_Journal_Law.pdf ინტერნაციონალიზაციის გაღრმავებისა და სტუდენტებისათვის თვალსაწიერის უფრო გამრავალფეროვნების მიზნით, უსდ-ს ხელშეწყობით, სტუდენტები მიემგზავრებიან საქართველოს ფარგლებს გარეთ, საზაფხულო სკოლებში, იმიტირებულ სასამართლო პროცესებზე თუ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. (დეტალურად აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. „სტუდენტების პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებში ჩართულობის ანგარიში“ და „ინტერნაციონალიზაციის შესახებ ანგარიში“). პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის შესაბამისი პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი უნარების გამომუშავებას და სტუდენტების შესაბამის ღონისძიებებში ჩართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სტუდენტების პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებში ჩართულობის ანგარიში; ○ ხელშეკრულებები/მემორანდუმები ორგანიზაციებთან / პრაქტიკის ობიექტებთან; ○ ანგარიში ინტერნაციონალიზაციის შესახებ; ○ ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სწავლებისა და სწავლის ფორმატი მოიცავს: ლექცია-სემინარებს, ინდივიდუალურ, ჯგუფურ და პრაქტიკულ სამუშაოებს, საშინაო დავალებებს, პრეზენტაციებს, სასწავლო პრაქტიკას (იმიტირებული სასამართლო პროცესები, სამართლებრივი კაზუსები, სიმულაცია), პრაქტიკოს იურისტთა მასტერკლასებს, იურიდიულ კლინიკას.

თვითშეფასების ანგარიშის, სილაბუსებისა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლა-

სწავლების შემდეგი მეთოდები:

- **არგუმენტების კლასიფიცირება (classifying arguments)**
- **ახსნა-განმარტების მეთოდი**
- **გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება**
- **დებატები**
- **დემონსტრირების მეთოდი**
- **დიალოგი სოკრატეს მეთოდით**
- **დისკუსია/დებატები**
- **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**
- **თანამშრომლობითი (Cooperative) სწავლება**
- **იმიტირებული სასამართლო პროცესი**
- **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი**
- **ინტერაქტიული ლექციები**
- **კაზუსის მომზადება**
- **კონტინუუმი (მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენების ერთობლიობა)**
- **კრიტიკული აზროვნება**
- **მაგალითების შესწავლა**
- **პირდაპირი სწავლება (ლექცია)**
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL)**
- **პროექტის შემუშავება/პრეზენტაცია**
- **როლური თამაში**
- **კანონშემოქმედებითი სიმულაცია**
- **საკლასო სიმულაციები სამართლის სწავლებისთვის**
- **სალექციო მეთოდი**
- **სასამართლო პრაქტიკის შესწავლა**
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება**
- **შემთხვევის/სიტუაციის ანალიზი (Case study)**
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი**
- **ჯგუფური/ერთობლივი (Collaborative) მუშაობა**

კონკრეტული სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის თითეულ სასწავლო კურსში გამოყენებული

სწავლების მეთოდები პასუხობს კურსის შინაარს და შეესაბამება სწავლების საფეხურს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით,

გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, გარდა სხვა რეგულაციებისა, შემუშავებულია სპეციალური დოკუმენტი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ სადაც თავი VI ეთმობა შეფასებას. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მიმართ სამართლიან, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამის შეფასების რეგულაციებს, რაც ასევე ასახულია პროგრამაში. **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** (იხ. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, თავი VI) **შეფასების პრინციპები:** გამჭვირვალობა, სისტემატიური ხასიათი, სამართლიანობა **შეფასების ფორმატი და მეთოდოლოგია:** შეფასების სისტემა (შეფასების ფორმატი, მეთოდოლოგია და თითოეული კომპონენტისათვის მინიჭებული ქულა) გაწერილია შესაბამის სილაბუსში და სტუდენტებს ეცნობებათ სემესტრის დასაწყისში. შუალედური, დასკვნითი, საპატიო და აღდგენითი გამოცდები ჩატარდება წერილობითი, ზეპირი ან შერეული ფორმატით. ზეპირი გამოცდები ტარდება კომისიის თანდასწრებით, რომელიც შედგება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დანიშნული სამი წევრისაგან. კომისიის შემადგენლობაში შედის შესაბამისი სასწავლო კურსის ლექტორი და ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორები, რომლებსაც მოპოვებული აქვთ ხარისხი იმავე/მომიჯნავე სფეროში. ზეპირი გამოცდა ტარდება სასწავლო კურსის სწავლების ენაზე. კომისიის წევრები სტუდენტს ინდივიდუალურად აფასებენ, შესაბამის სილაბუსებში მითითებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. საბოლოო შეფასება აისახება ოქმში (უნდა მიეთითოს საშუალო შეფასება). შეფასების დოკუმენტაცია და ოქმი შეინახება არქივში ისევე, როგორც საგამოცდო ნაშრომები. სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას. პროგრამასა და სილაბუსებში ჩანს, რომ განსაზღვრულია სწავლის/სწავლების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები. შუალედური და ფინალური გამოცდის ფორმატია წერითი,

ზეპირი ან კომბინირებული ფორმის გამოცდა. სემესტრული აქტივობა საგნის თავისებურებიდან გამომდინარე შეიძლება შეფასდეს შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით: საშინაო დავალება/ჯგუფური მუშაობა/ სემინარებზე აქტიურობა/რეფერატი/დისკუსია/პრეზენტაცია/სიტუაციური თამაშები და სხვ. შეფასების კრიტერიუმების გადანაწილება განხორციელებულია ადეკვატურად და შესაბამისობაში იმყოფება თითოეული კურსის სპეციფიკასა და დატვირთვასთან. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები სტუდენტისთვის ცნობილია და ხელმისაწვდომი.

უნივერსიტეტში მოქმედებს დოკუმენტი „გამოცდების ჩატარების წესი“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 14/09/2016წ. - გადაწყვეტილება №4 (დანართი №4)), სადაც გაწერილია: გამოცდების ჩატარების, საგამოცდო ნაშრომების შეფასების, შედეგების გამოცხადების, ნიშნების სტუდენთა სისტემაში შეყვანის და გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესი.

„გამოცდების ჩატარების წესი“-ს მუხლი 11 შესაბამისად: ლექტორი ვალდებულია სტუდენტს გააცნოს შუალედური შეფასებები და მასთან ერთად განიხილოს ნამუშევარი. სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში, სტუდენტს გააცნოს დასკვნით/დამატებით გამოცდაში მიღებული ქულა და მასთან ერთად განიხილოს შესაბამისი საგამოცდო ნამუშევარი. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს პროფესორ-მასწავლებლებისგან, როგორც სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გაუმჯობესების შესახებ.

სტუდენტი უფლებამოსილია გამოცდის შედეგი გაასაჩივროს შესაბამის ფაკულტეტზე განცხადების დაწერის გზით, გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში. ფაკულტეტის საბჭო ქმნის კომისიას საგამოცდო ნაშრომის ტექნიკური შემოწმებისათვის, მისი ხელახალი შეფასების გარეშე. კომისია შედგება სულ მცირე 3 წევრისაგან (მათ შორის სულ მცირე ერთი დარგის სპეციალისტი). კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. სტუდეტს შედეგების შესახებ ეცნობება ერთი კალენდარული დღის განმავლობაში.

ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სტუდენტების მხრიდან სისტემატურად ხდება კურსების და ლექტორების შეფასება. სტუდენტების გამოკითხვის შედეგად, უკუგების სრულყოფის მიზნით ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ, საჭიროების შემთხვევაში, გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიურების დროს გამოვლინდა, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაცია მუდმივ მზაობას აცხადებს, პროგრამაში ჩართული აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის მხარდასაჭერად და მათთან ერთად შეფასების სისტემის თუ პროცესის დასახვეწად და გასაუმჯობესებლად.

ერთიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ში გამოყენებული შეფასების სისტემა შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, არის გამჭვირვალე და ადეკვატური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- გამოცდების ჩატარების წესი
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებულები სწავლის პროცესის დაგეგმვაზე. მათ აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია მიეწოდებათ დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერისა და იურიდიული კლინიკის ხელმძღვანელისა და ზედამხედველის მიერ, როგორც ეს აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში. ასევე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან იკვეთება, რომ სემესტრის დასაწყისში, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის პირველკურსელებს უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა (https://ibsu.edu.ge/ge/law/orientation-meeting-with-freshmen-students/), სადაც ფაკულტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი აცნობთ მათ სასწავლო პროცესის ძირითად კომპონენტებს, შეფასების წესს, შიდა რეგულაციებს, ელექტრონული ბაზის გამოყენების წესსა და სხვა ძირითად ინფორმაციას. ასევე, დეკანი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები სემესტრის განმავლობაში ხვდებიან სტუდენტებს და ესაუბრებიან მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე (https://ibsu.edu.ge/ge/law/54514/) რაც შეეხება აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების თაობაზე სტუდენტის

ინფორმირებულობის საკითხს, სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ საკონსულტაციო საათებით, რომლებიც განსაზღვრულია სილაბუსით და რომლის შესახებ ინფორმაციის განთავსება ხდება უნივერსიტეტის საიფორმაციო დაფებზე. საკონსულტაციო საათებში სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ ლექტორს კითხვებით მათთვის საინტერესო საკითხებზე. ასევე, როგორც სტუდენტები და აკადემიური პერსონალი/ მოწვეული ლექტორები აღნიშნავენ, სტუდენტები ლექტორებთან კომუნიკაციაში არ არიან შეზღუდული მხოლოდ საკონსულტაციო საათებით, ლექტორები საკმაოდ ღია არიან სტუდენტებთან კომუნიკაციაში და სტუდენტს ლექტორთან დაკავშირება სასწავლო საკითხებთან მიმართებით შეუძლია სოციალური ქსელის, იმეილის, ტელეფონის, საუნივერსიტეტო პორტალის (sis) გამოყენებით. შესაბამისად, არც პანდემიის პირობებში შექმნილა ლექტორთან კომუნიკაციის პრობლემა. ასევე, როგორც ლექტორებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოცდის ფარგლებში დაშვებული შეცდომა, სურვილის შემთხვევაში, განიხილონ ლექტორთან. შედეგად ისინი იღებენ უკუკავშირს საკუთარ ნაშრომთან დაკაშირებით.

მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტში აქტიურად ფუნქციონირებს კარიერის დაგეგმვის სამსახური. შზსუ-ს სტუდენტთა დასაქმების/სტაჟირების გავლის ხელშეწყობის მიზნით, დადებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას კარიერის დაგეგმვის სამსახურზე. მათგან ხშირად იღებენ შეტყობინებებს, იმეილებს მიმდინარე ვაკანსიებთან და ტრენინგებთან დაკავშირებით. ამასთან, შზსუ-ის საიტზე თავსდება ინფორმაცია მიმდინარე ვაკანსიებთან დაკავშირებით. ერთ-ერთმა სტუდენტმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ კარიერის დაგეგმვის სამსახურისგან მიიღო ინფორმაცია ვაკანსიის არსებობის თაობაზე და ამჟამად დასაქმებულია. ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა ინტერვიუს დროს გააზიარა საკუთარი გამოცდილება კურსდამთავრებულთან ურთიერთობის სამსახურთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, მას დაუკავშირდნენ და დაინტერესდნენ იყო თუ არა პროფესიით დასაქმებული და შეატყობინეს თავისი კომპეტენციის შესაბამისი ვაკანსიის არსებობის თაობაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლის მოთხოვნებს სტუდენტის კომპეტენციასთან დაკავშირებით ითვალისწინებენ უნივერსიტეტის წარმომადგენლები და ცდილობენ შესძინონ სტუდენტებს ის უნარები, რომლებიც დამსაქმებლისთვის მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება სტუდენტთა აქტივობებს, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა

მიიღონ ადგილობრივ, როგორც უნივერსიტეტთაშორის, ასევე საუნივერსიტეტო კონფერენციებში. ამასთან, სტუდენტები მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში. როგორც №18 დანართის საფუძველზე გამოიკვეთა, შზსუ-ის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს სულ რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციაში (მაგ., ლოდზის უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პირველ საერთაშორისო კონფერენციაში პოლონეთსა და ჩინეთს შორის საჯარო ფინანსურ, ეკონომიკურ და საგადასახადო საკითხებზე და აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონფერენციებში). სასურველია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს სტუდენტთა ჩართულობას უფრო მეტ საერთაშორისო კონფერენციაში.

როგორც აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, ლექტორები ხელმძღვანელობას უწევენ კონფერენციებში მონაწილე სტუდენტებს და აძლევენ რჩევებს თემის დამუშავებისას. სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს აქვთ შესაძლებლობა „თანამედროვე სამართლის ჟურნალში“ (https://law.ibsu.edu.ge/api/uploads/Contemporary_Journal_Law.pdf) დაბეჭდონ საკუთარი სტატია. აღნიშნული ჟურნალი არის ორენოვანი. მასში წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა სტატიები უცხოელ ლექტორებთან თანაავტორობითაც. შესაბამისად, უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას კვლევით საქმიანობაში. ამასგარდა, სტუდენტები მონაწილეობენ უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ სეზონურ სკოლებში, იმიტირებულ პროცესებში, საჯარო ლექციებში, სასერთიფიკატო კურსებში და სხვა აქტივობებში. (დანართი №18)

შზსუ-ის სტუდენტები მონაწილეობენ საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ საერთაშორისო იმიტირებულ პროცესში მათი მონაწილეობა თანადაფინანსებული იყო შზსუ-ის მიერ. ასევე აღნიშნეს ის ფაქტი, უნივერსიტეტში ჩატარდა კონკურსი იმიტირებულ პროცესში მონაწილე ჯგუფის შესარჩევად.

რაც შეეხება სტუდენტთა ინფორმირებულობას ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების შესახებ, როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან და თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრის შედეგად გამოიკვეთა, არსებობს დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში (FB), რომლის ადმინისტრატორიც გახლავთ შზსუ-ის ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერი, რომელიც უზიარებს სტუდენტებს ინფორმაციას სტუდენტური აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ. ასევე, სტუდენტის თხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერმა სტუდენტთან კომუნიკაცია შეიძლება ინდივიდუალურად დაამყაროს

სხვა სოციალური ქსელის ან საკომუნიკაციო აპლიკაციის გამოყენებით. შზსუ-ს მემორანდუმი აქვს დადებული უცხო ქვეყნების უნივერსიტეტებთან და სტუდენტების ნაწილი მონაწილეობს გაცვლით პროგრამებში. როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, ისინი ინფორმირებული არიან გაცვლითი პროგრამების შესახებ, იციან პროცედურა თუ რა ეტაპები უნდა გაიარონ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. შზსუ-ის ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის თანახმად, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მსურველი სტუდენტებისათვის იმართება საორიენტაციო შეხვედრები (იხ. https://ibsu.edu.ge/ge/law/456546/). უმჯობესი იქნებოდა განხორციელდეს სტუდენტთა მონაწილეობის წახალისება გაცვლით პროგრამებში. ამ მიზნით სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა (მაგალითად, ისეთ პროგრამებში, როგორიცაა Erasmus+-ის გაცვლითი პროგრამა.) აღნიშნული პროგრამები ხელს შეუწყობს სტუდენტთა მონაწილეობის გააქტიურებას გაცვლით პროგრამებში, რადგან ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამები, როგორც წესი, უზრუნველყოფს სწავლების, მგზავრობისა და საცხოვრებელი ხარჯების დაფინანსებას. როგორც უსდ-ს საიტზე არსებული ინფორმაციითაც (https://ibsu.edu.ge/ge/law/1243/) გამოიკვეთა, როგორც წესი, შზსუ-ის სამართალმცოდნეობის სტუდენტებისთვის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისას უფასოა მხოლოდ უცხო ქვეყნის უნივერსიტეტში სწავლა (სტუდენტი იხდის მხოლოდ IBSU-ში სწავლების თანხას), მგზავრობისა და საცხოვრებელი ხარჯები კი მათ თავად უნდა დააფინანსონ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ (პროგრამაში ჩართული აკადემიური /მოწვეული /ადმინისტრაციული /დამხმარე პერსონალი, ფაკულტეტის კოორდინატორი ან სხვა) პირთა დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები (დანართი №4) ○ კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან დადებული მემორანდუმები (დანართი №11) ○ სტუდენტების აქტივობები, საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში, კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი ინფორმაცია (დანართი №18)

- უცხო ქვეყნის უნივერსიტეტებთან დადებული მემორანდუმები (დანართი №14)
- უსდ-ს ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, განხორციელდეს სტუდენტთა ჩართულობის წახალისება გაცვლით პროგრამებში. მონაწილეობის წახალისების მიზნით, სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა. (მაგალითად, ისეთ პროგრამებში, როგორიცაა Erasmus+-ის გაცვლითი პროგრამა)
- სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად შეუწყოს ხელი სტუდენტთა ჩართლობას საერთაშორისო კონფერენციებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მისასალმებელია, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში, ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობასაც ახორციელებენ, ვინაიდან თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო შედეგებს იძლევა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 1 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი და 26 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 39, რომელთაგან 6 აფილირებული პერსონალია, 1 უცხოელი პერსონალი.

აკადემიური პერსონალი ფლობს სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება მათი სამეცნიერო ხარისხებით, ბოლო 5 წლის სამეცნიერო ნაშრომებითა და პრაქტიკული გამოცდილებით.

აკადემიური/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ირიცხება 114 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის - სტუდენტების რაოდენობასთან თანაფარდობა არის 1/3 აღნიშნული მონაცემები საბაკალავრო საფეხურისათვის კარგ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ეს თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. აღსანიშნავია ისიც, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსი აკმაყოფილებს შედეგის გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტემციას. აღნიშნული პერსონალის მიერ წარმოდგენილია სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, მონოგრაფიები, პუბლიკაციები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვეს დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. მას აქვს საქართველოს უნივერსიტეტებში კერძო სამართლის სწავლების 19-წლიანი გამოცდილება. 2016 წლიდან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია კერძო სამართლის მიმართულებით. 5 წელია ხელმძღვანელობს პროგრამას, რაც მეტყველებს პროგრამის მდგრადობაზე. სისტემატურად მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტებისთვის ინდივინდუალურ კონსულტანციებში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. ჩართულია 32 ადმინისტრაციული პერსონალი, რაც საკმარისია პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე 114 სტუდენტის მომსახურებისათვის. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სამუშაო აღწერილობები ○ პერსონალის პირადი საქმეები და ხელშეკრულებები ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ○ პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ○ უსდ-ის დებულება ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართალმცოდნეობის პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უნივერსიტეტს აქვს ცენტრალიზებული ხარისხსის მართვის სამსახური, რომელიც შედგება სამი თანამშრომლისგან. ცალკე ფაკულტეტს არ ჰყავს ხარისხის მართვის კოორდინატორი. მთლიანობაში ამ სისტემითა და შემადგენლობით რთული წარმოსადგენია ხარისხის შენარჩუნება. თუმცა სტატისტიკური მონაცემებით დგინდება, რომ სწავლის ხარისხი შენარჩუნებულია ან პროგრესულია. თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა რომ, კერძოდ ქრონოლოგიით ძველიდან ახლისკენ რომ მივყვეთ (ბოლო 3 წელი), კურსდამთავრებულთა შედეგების შეფასების ცხრილით ირკვევა: პირველ წელს შედეგები ასე გადანაწილდა: ფრიადი - 16% ; ძალიან კარგი - 16% ; კარგი - 40% ; დამაკმაყოფილებელი - 29%. მეორე წელს: ფრიადი - 9% ; ძალიან კარგი - 35% ; კარგი - 24% ; დამაკმაყოფილებელი - 29%;. მესამე წელს: ფრიადი - 30% ; ძალიან კარგი - 41% ; კარგი - 11% ; დამაკმაყოფილებელი - 19% როგორც ამ მონაცემებით დასტურდება ხარისხის მატების ტენდენცია გვაქვს სახეზე. ამ მონაცემების საფუძველშე შესაძლოა ითქვას, რომ უსდ ხარისხი შენარჩუნება მიღწეულია პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიმართ ზრუნვის შედეგად.

უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური უზრუნველყოფს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალის ხარისხის მართვას შემდეგნაირად: პერსონალთან ურთიერთობას რეგულარული ხასიათი აქვს. უსდ-ს შემუშავებული აქვთ სტუდენტთა გამოკითხვის სისტემა, რის მეშვეობითაც იღებენ უკუკავშირს. გამოკითხვა განხორციელების პროცესზე (ფორმატზე და დროზე), სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ერთგვაროვანი პასუხები აქვთ. შეფასება ხორციელდება სასაწავლო სემესტრის განმავლობაში რამდენჯერმე. მათგან აღსანიშნავია სემესტრის ბოლოს (ფინალურ შეფასებამდე) ჩატარებული გამოკითხვა. ამას ადასტურებს უსდ-ს ადმინისტრაციაც, რომელმაც განაცხადა, რომ სტუდენტების გამოკითხვა ხდება ფინალური გამოცდამდე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან შედეგი ამ შემთხვევაში იქნება ობიექტური და რეალური. უსდ-სთან ვიზიტის დროს გამოირკვა, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის უზრუნველყოფს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, წიგნების გამოცემასა და სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებას უზრუნველყოფს. აკადემიურ/მოწვეული პერსონალს გამოყოფილი აქვს სპეციალური დრო სტუდენტის კონსულტაციებისთვის. გამოკითხვებით დგინდება, რომ აკადემიურ/მოწვეული პერსონალს აქვს მაქსიმალური ხელშეწყობა მისი მოვალეობის შესრულების უზრუნველყოფისათვის. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა მოქნილია და ზრუნავს პერსონალის კეთილდღეობაზე, კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა ანაზღაურებადია. აღნიშნული დასტურდება, მათ შორის, პერსონალის ხელშეკრულებებითა და ინტერვიუს შედეგებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა/გეგმა; ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი; ○ მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან; ○ აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

- უნივერსიტეტის შიდა რეგულაცია ;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების ყოველწლიური კითხვარი
- პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში ;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- სამართლის ფაკულტეტის ორენოვანი ჟურნალი https://law.ibsu.edu.ge/api/uploads/Contemporary_Journal_Law.pdf

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: ვინაიდან ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად, უსდ გააჩნია თუ არა აუდიტორიები აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, პირდაპირი წესით ვერ ირკვევა. თუმცა მოხერხდა დისტანციურად დათვალიერება აუდიტორიების. ვირტუალურად დათვალიერებით ირკვევა, რომ უსდ-ს აქვს თანამედროვე სტდანდარტების შესაბამისი აუდიტორიები, მათ შორის იმიტირებული სასამართო დარბაზი. ეს ყოველივე ხელს უწყობს სწავლების პროცესის განხორციელებას და დადებითად შესაფასებელია. მოწვეულ/აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ინტერვიუს დროს ირკვევა რომ უსდ აღჭურვილია აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას. მიუხედევად პანდემიისა უსდ უმეტეს შემთხვევაში თავისი ინიციატივით, რიგ შემთხვევებში სტუდენტის მოთხოვნით, უზრუნველყოფს საჭირო ნორმატიული მასალისა თუ ლიტერატურის ელექტორიფიკაციას (ასეთის არ არსებობის შემთხვევაში). ასევე სტუდენტს საჭიროების შემთხვევაში აქვს შესაძლებლობა, დისტანციურად სახლიდანვე ჰქონდეს წვდომა ელექტრონულ ბიბლიოთეკებზე ან/და ბაზებზე, რომლის მომსახურებითაც უსდ სარგებლობს. შზსუ-ს არის რამდენიმე ელ. პროგრამების ავტორიზირებული მომხმარებელი, თუმცა

ინტერვიუს დროს მათგან ძირითადი აქცენტი გაკეთდა www.ebsco.com-სა და იბსუ-ს ელ. ბიბლიოთეკაზე, თუმცა არ იგულისხმება, რომ სხვათა გამოყენება არ ხდება.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა რომ, შზსუ არის შემდეგი ელ. ბაზების ავტორიზებული მომხმარებელი:

www.ebsco.com

www.elsevier.com

www.polpred.com

www.journals.cambridge.org

www.home.heinonline.org

www.opendoar.org

www.roar.eprints.org

www.doaj.org

www.beallslist.weebly.com

www.gutenberg.org

www.memory.loc.gov

www.wdl.org

www.obiblio.sourceforge.net

მიღებული ინფორმაციით მთლიანობაში ირკვევა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ელექტრონული ბაზები;
- შესაბამისი ტექნიკის არსებობა აუდიტორიებში (ვირტუალური დათვალიერება);

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-მიერ მოწოდებული ბიუჯეტი განსაზღვრავს უნივერსიტეტის პრიორიტეტებს, ბიუჯეტით დგინდება, რომ პრიორიტეტი ენიჭება კვალიფიციური აკადემიური/მომსახურე პერსონალის მოზიდვას, რადგან ბიუჯეტის დიდი ნაწილი იხარჯება ანაზღაურებაში. ასევე გათვალისწინებულია სტუდენტური აქტივობებისთვის თანხები. ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა, ეკონომიკურად მიღწევადობა, პანდემიის პირობებში იცვლება განსახორციელებლი აქტივობების ფორმა, თუმცა ყველაფრის მიუხედავად უსდ-ს მიზანი მიღწევადია. შესრულებული ბიუჯეტის დადასტურება ხდება ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად. ბიუჯეტში გაწერილია დაფინანსების წყაროები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი;
- უსდ-ის დებულება
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით;
- აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შზსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, რომლის ამოცანაა სწავლებისა და სწავლის და სამეცნიერო საქმიანობის განვითარებისათვის ხელშეწყობა. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამუშაოს უწყვეტობას უზრუნველყოფს პროცესი, რომელიც ითვალისწინებს ,,დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ (PDCA) ციკლის მიდგომას. სწავლების ხარისხის სრულყოფისათვის უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს. აღნიშნული

ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების რეგულარული გამოკითხვით. ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტები აფასებენ ლექტორის მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებულ სწავლების მეთოდებს, გამოყენებულ ლიტერატურას, სასწავლო კურსის მსვლელობის სილაბუსთან შესაბამისობას, შეფასების სისტემის ადეკვატურობას, სასწავლო კურსით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას და ა.შ. ყოველი წლის ბოლოს დამამთავრებელი კურსის სტუდენტების მიერ ხდება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება. კითხვარები განთავსებულია და მათი შევსება ხდება ელექტრონული პლატფორმის SMART-ის მეშვეობით, რომელზეც წვდომა აქვს შზსუ-ის ყველა სტუდენტს. გამოკითხვები არის ნებაყოფლობითი და ანონიმური. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველსემესტრულად ახორციელებს სასწავლო კურსებში სტუდენტების შეფასებების ანალიზს შეფასების ქულების გადანაწილების თვალსაზრისით ე.წ. grade distribution-ს, ამოწმებს უნივერსიტეტის ელექტრონულ SMART პლატფორმაზე სასწავლო კურსებში სილაბუსების, სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობას სტიდენტებისთვის, აფასებს საუნივერსიტეტო შეფასების SiS პლატფორმაზე სტუდენტების შეფასების ასახვის დროულობას. აღნიშნული კვლევები ყველა პროგრამისათვის ინდივიდუალურად ხდება სემესტრში ხუთჯერ. ხარისხის სამსახური პერიოდულად ხვდება სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებს, ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევას. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სემესტრის განმავლობაში ჩატარდა დისტანციური სწავლების ხარისხის კვლევა, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სტუდენტებმა და აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, რაც ასევე დადასტურდა ინტერვიუებით.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების საშუალებით ხარისხის სამსახური რეგულარულად ახდენს საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს, ატარებს კვლევებს, აანალიზებს შედეგებს და ინფორმაციას აწვდის პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებული მხარის მოსაზრებებს, დასაქმების ბაზრის კვლევის შედეგებს პროგრამის განვითარების მიზნებისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები დასტურდება თვითშფასების ანგარიშის, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სახელმძღვანელო დოკუმენტი), და სხვა დამხმარე მასალით (სტუდენტების მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორების შეფასების კითხვარი, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანგარიში, ა.შ.). ინფორმაცია დაადასტურა აკრედიტაციის ვიზიტისას

ჩატარებულმა გასაუბრებებმაც.

აქტიურ სტუდენტებთან და ასევე კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში გამოირკვა რომ ყოველთვის ხდება მათი შეფასების, მოთხოვნების გათვალისწინება, რაც ძირითადად გამოიხატება როგორც აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, ასევე სასწავლო საგნებთან მიმართებაში.

უნივერსიტეტში ვიზიტისას გაირკვა რომ სამართლის ფაკულტეტს არ ჰყავს ცალკე ხარისხის სამსახური და ფაკულტეტს კურირებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ინტერვიუებისას აღინიშნა რომ ეს ფაკულტეტისთვის არ წარმოადგენს პრობლემას, თუნდაც სამართლის ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით. აკრედიტაციის ვიზიტისას ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ დასახული მიზნების განხორციელებაში სტუდენტებს და უსდ-ს პერსონალს პრაქტიკაში არ ექმნებათ ადმინისტრაციასთან პირდაპირი კომუნიკაციის ბარიერები. პროცედურები შედარებით მარტივია და ხელმისაწვდომი. სტუდენტის თუ პერსონალის კრიტიკული მოსაზრებები /შენიშვნები უმეტეს შემთხვევაში პირდაპირი კომუნიკაციით აღწევს ადმინისტრაციამდე და აისახება განვითარების პროცესში გადადგმულ ნაბიჯებზე/აქტივობებზე.

თვითშეფასების დოკუმენტისა და ხარისხის მექანიზმების აღმწერი დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად განხორციელებული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პრაქტიკაში კარგად ფუნქციონირებს. დაინტერესებული მხარეების უკუკავშირით მიღებული ინფორმაცია გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სახელმძღვანელო დოკუმენტი);
- შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
- შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის ოქმები;
- შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშები (სტუდენტების მიერ ლექტორებისა და სასწავლო კურსების შეფასების 2018/2019, 2019/2020 წლების ანგარიშები; ბაზრის კვლევა; სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლის გამოკითხვის ანალიზი; პროგრამის განვითარების ანგარიში; ანგარიში პროგრამაში გამხორციელებული ცვლილებების შესახებ);

- აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები ხარისხის სამსახურთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ვებ-გვერდი www.ibsu.edu.ge

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე ხარისხის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის ავტორიზაციის და პროგრამული აკრედიტაციის დროს. პროგრამამ პირველადი აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს და ორიენტირებული იყო მაღალ პროფესიულ სტანდარტებზე, თავიდანვე ითვალისწინებდა

პროფესიის გამორჩეული აკადემიური მოღვაწეებისა და პრაქტიკოსების მოსაზრებებს, დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს და ხორციელდებოდა ქართულ ენაზე ინგლისური კომპონენტებით, გამომდინარე შზსუ-ის საერთაშორისო ვექტორებიდან. განვითარების ყველა ეტაპზე პროგრამა მუდმივად განიცდიდა ტექნიკურ თუ შინაარსობრივ მოდიფიცირებებს სასწავლო გეგმის, სწავლა/სწავლების მეთოდებისა და ხარისხის სისტემის დახვეწის კუთხით. პროგრამამ განიცადა გარკვეული ცვლილებები, რომელიც აღწერილია უსდ-ს მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში. უნივერსიტეტი ორიენტირებულია კანონმდებლობის შესაბამისად სტანდარტების ცვლილებების მიხედვით სწრაფად მოახდინოს რეაგირება და მოიყვანოს პროგრამა სრულ შესაბამისობაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი პროგრამის განხორციელების პერიოდში ახორციელებს მოწვეული, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების მოწვევას და ცდილობს მაქსიმალურად ასახოს მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები პროგრამაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საერთაშორისო ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში; ○ ხარისხის გარე შეფასების შედეგები; ○ აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციის და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე დადგინდა, რომ უსდ იყენებს ხარისხის შეფასების და გაუმჯობესების სხვადასხვა მექანიზმს. აკრედიტაციის ვიზიტისას გამოვლინდა, რომ უსდ ძირითადად ითვალისწინებს დაინტერესებული პირების უკუკავშირს როგორც პროგრამის, ასევე, საგნების დამუშავების პროცესში. პროგრამის მონიტორინგის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შიდა შეფასებებს სულ მცირე წელიწადში ორჯერ. შიდა შეფასებებით ხარისხის სამსახური არკვევს, რამდენად შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები სტანდარტთან მიმართებაში, ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას, პროგრამის დასახულ მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მიღწევადობას. ხაზგასასმელია, რომ პროგრამის განვითარებისა და საერთაშორისო თუ ადგილობრივი

საუკეთესო პრაქტიკის, ასევე პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელდა სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამების შედარება ბაზარზე არსებულ ანალოგიურ პროგრამებთან. აღნიშნულის მიზნით, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა შედარდა 8 ადგილობრივი და 2 საერთაშორისო უნივერსიტეტის მსგავს პროგრამებს. აღნიშნული პროცესის შედეგად, შედარებისა და ანალიზის საფუძველზე მოხდა გარკვეული საკითხების გათვალისწინება, კერძოდ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მეტი აქცენტი გაკეთდა მიმართულების სიღრმისეულად შესწავლისათვის აუცილებელ სასწავლო კომპონენტებზე, რაც გამოიხატა კონკრეტულ სასწავლო კურსების სავალდებულო სასწავლო კურსებში დამატებით, მეტი აქცენტი გაკეთდა პრაქტიკის, წერისა და სისხლის სამართლის პროცესის სიღრმისეულად შესწავლაზე. უნივერსიტეტის ხედვით, აღნიშნული შედარებითი ანალიზი ხელს უწყობს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სახელმძღვანელო დოკუმენტი); ○ სტუდენტების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი; ○ ანგარიში პროგრამაში გამხორციელებული ცვლილებების შესახებ; ○ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი (Benchmarking); ○ აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 58

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო მესხიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ ბერიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა დავით ელისაბედაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა მარიამ ხუროშვილი